წერილის ნომერი:**37-37233553**
თარიღი: **21/12/2023**

ადრესატი:

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს დავით დარჩიას

მოხსენებითი ბარათი

(საკრებულოს აპარატის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ)

ბატონო დავით,

წარმოგიდგენთ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ, 2023 წლის პირველი იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

Ø **სტატისტიკა**

- ორგანიზაციულ ტექნიკური უზრუნველყოფა გაეწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
- საკრებულოს 14 სხდომას;
- მუდმივმოქმედი კომისიების 80 სხდომას ;
- საკრებულოს ბიუროს 24 სხდომას.
- მიღებულია:
  - 19 დადგენილება,
  - 72 განკარგულება;
  - გამოიცა 164 ბრძანება.
- დარეგისტრირებულია: 331 კორესპოდენცია.
  მათ შორის: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულია 100 კორესპონდენცია, საქართველოს პარლამენტიდან - 10 კორესპონდენცია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან - 3, საჯარო რეესტრი ეროვნული სააგენტოდან - 10, მოქალაქეებიდან - 54 განცხადება, დარეგისტრირებულია 31 საჯარო ინფორმაცია. ასევე, დარეგისტრირდა 255 სამართლებრივი აქტი.
- მომზადდა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა 3 დადგენილების და 26 განკარგულების პროექტი.
- 31 განცხადება დარეგისტრირდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვაზე. ინფორმაციის მიწოდება ხდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში. ადგილი არ ჰქონია საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმას, ასევე, გასაჩივრების შემთხვევებსაც. მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია საჯარო ინფორმაციის სრული რეესტრი.

- მომზადებული იქნა 58 სამივლინებო ბლანკი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში და eHrms-ში აიტვირთა 58 მივლინებისა და 45 შვებულების ბრძანება.

- ელექტრონულად მიმდინარეობს შემოსული, შიდა და გასულ კორესპონდენციათა, საკრებულოს მიერ მიღებული ყველა სამართლებრივი აქტის რეგისტრაცია, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეების დასკვნებისა და მათი ანგარიშების გამოქვეყნება.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ადმინისტრირებულ ოფიციალურ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში გაშუქდა და გამოქვეყნდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების, საკრებულოს საქმიანობის შესახებ 194 ინფორმაცია. .

Ø ორგანიზაციული, ტექნიკური, საინფორმაციო საკითხები

2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე აპარატის საჯარო მოხელეები უზრუნველყოფდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომების ორგანიზებას, საკრებულოს წევრების გაფრთხილებას საკრებულოს სხდომებზე, კომისიათა სხდომებზე და საჯარო განხილვებზე დასასწრებად, სხდომებისთვის მასალების გამრავლება/დარიგებას.

კომპიუტერული მომსახურება გაეწიათ, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების ყოველთვიური და წლიური ანგარიშების, წერილების, განცხადებების და კომისიებში, ფრაქციებში შემოსულ ელექტრონულ კორესპონდენციების მომზადებას.

გამოქვეყნდა და საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობის პირების, წევრების მიერ განხორციელებული აქტივობების, მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, როგორც ადგილობრივ აგრეთვე, ცენტრალურ მედია საშუალებებში. ამ მიზნით, მედია–საშუალებების წარმომადგენლებს უწყვეტი კომუნიკაციის რეჟიმში მიეწოდებოდათ ინფორმაცია საკრებულოსა და საკრებულოს წევრების საქმიანობის შესახებ. მზადდებოდა პრესრელიზები, ორგანიზება გაეწია საკრებულოს თანამდებობის პირების ინტერვიუებისა და საჯარო გამოსვლებს, მათ შორის პირდაპირი ეთერების განხორციელებას ცენტრალურ მედია საშუალებებში.

შეუფერხებლად მიმდინარეობდა საკრებულოს წევრების და აპარატის თანამშრომლების ტექნიკური მომსახურება. წლის დასაწყისში დაიგეგმა და საანგარიშო პერიოდში მოთხოვნათა შესაბამისად, განაწილდა სხვადასხვა საკანცელარიო ნივთები, აგრეთვე, შესაბამისი მატერიალური მასალით აღჭურვა. პერიოდულად, საჭიროებისამებრ, ცალკეულ მოთხოვნათა საფუძველზე, იგზავნებოდა წერილები, მიმართვები მერიაში, სხვადასხვა ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის თანამშრომელთა საწვავით უზრუნველყოფისა და ხარჯვის მონიტორინგი, ტექნიკური პრობლემების აღრიცხვა, კომპიუტერული ტექნიკის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. ასევე, მომზადდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის თანამშრომელთა სარგებლობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის მონიტორინგის ანგარიში, რის საფუძველზეც მიმდინარეობს კომპიუტერული ტექნიკის განახლების პროცესი. აპარატის შესაბამისი განყოფილების მიერ, მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით მოხდა ინვენტარიზაცია. აღირიცხა ყველა ის ინვენტარი, რომელიც საკრებულოს სარგებლობაშია.

მომზადდა და გურიის რეგიონალურ არქივს გადაეცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საარქივო მასალები 1998-2017 წლის ჩათვლით. ასევე, შემუშავდა და საუწყებო არქივს შესათანხმებლად გაეგზავნა საკრებულოს საქმეთა ნომენკლატურა, რომელიც დამუშავების შემდეგ დამტკიცებული იქნა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ.

Ø მოქალაქეთა ინფორმირება, ანგარიშგება, შეხვედრები.

საკრებულოს საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებისა და მათი

ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, საკრებულოს აპარატის მიერ გამოიყენება sms შეტყობინების სისტემა. ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს ოპერატიულად ეგზავნებათ ინფორმაცია საკრებულოს, კომისიების სხდომების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

დღემდე აქტიურად მიმდინარეობს საკრებულოს სხდომების, ანგარიშების წარდგენის პირდაპირი ტრანსლირება. ამ ინსტრუმენტის ეფექტურობაზე მიუთითებს ონლაინ მაყურებელთა გაზრდილი რაოდენობა. აგრეთვე, მუშაობს ონლაინ შეკითხვებისა და გამოკითხვების სისტემები, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირს. აპარატის მიერ განხორციელდა საკრებულოს 14 სხდომის პირდაპირი ტრანსლირება. მოქალაქეთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით, ფუნქციონირებს ვიდეო არქივი, სადაც აპარატი ახდენს სხდომების სრული ვიდეოჩანაწერების განთავსებას. მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული სერვისები ინტეგრირებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე იხ. აქ

საკრებულოს წევრებთან შეთანხმებით მომზადდა ამომრჩევლებთან შეხვედრის და ამომრჩეველთა მიღების, ასევე, ამომრჩეველთა წინაშე საკრებულოს წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩაბარების გრაფიკები. საკრებულოს წევრების მიერ, ამომრჩეველთან მიღების და ამომრჩეველთან შეხვედრის დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, განხორციელდა მოქალაქეებთან შეხვედრები და მიღება, რაც შესაბამისად აისახა ოქმებში. ტექნიკური და საოქმო მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 3 ფრაქციას. შედგენილია სხდომის ოქმების ელექტრონული დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტის თითოეული წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების განმსაზღვრელი ინფორმაცია მომზადებულია ყოველთვიურად ელექტრონულად, სადაც აღნიშნულია თითოეული დეპუტატის უფლება-მოსილების შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია. დოკუმენტაცია დაარქივებულია.

Ø კონფერენციები, ტრენინგ-სემინარები

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა ტრენინგებსა და ონლაინ კონფერენციებში. აპარტის მიერ მოხდა, როგორც ონლაინ, ისე ფიზიკური შეხვედრების ორგანიზება და ტექნიკური უზრუნველყოფა.

მათ შორის: ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შორის, ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება. USAID - ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა ხუთწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს, რომელიც აერთიანებს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, რათა იმუშაონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და კერძო სექტორთან საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიზნების მისაღწევად. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის და საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერას, ადგილობრივ თვითმმართველობებში ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას.

ასევე, აპარტის საჯარო მოხელეების მიერ ტექნიკურ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა გაეწია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის ხელმძღვანელ ჯონ პენელისა და საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას, მერის მოადგილეების გიორგი ღურჯუმელიძისა და ნათია გოლიაძის შეხვედრებს.

აგრეთვე, ორგანიზება გაეწია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და პოლონეთის ქალაქ ჰელმის ვიცე-მერს დოროთა ცესლიკს და ასოციაცია ,,ბაგ“-ის დირექტორს გალინა გრაბარჩუკის შეხვედრებს. სადაც კულტურის, ტურიზმის, გარემოსა და სოციალური დაცვის მიმართულებები, ასევე, ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ევროსაბჭოს პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ შემაჯამებელი ღონისძიებისთვის, მოვამზადეთ საინფორმაციო სტენდი, სადაც ჩვენს მიერ შეირჩა ფოტო, ვიდეო და ის სხვა მასალები, რომლებიც ასახავდა სამოქალაქო მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების გაძლიერების კუთხით განახორციელებულ ყველა იმ პროექტსა თუ მიღწევას, რომლებიც მუნიციპალიტეტში განხორციელდა. აღნიშნული ინფორმაცია და ოზურგეთის საკრებულოს მიერ განხორციელებული აქტივობები საზოგადოებას წარუდგინეთ.

დამუშავდა და მომზადდა წერილი USAID -ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში მომზადებული კველვის შესახებ "მოქალაქეთა დამოკიდებულებების კვლევა მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და სერვისების მიმართ."

OGP - ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი სპეციალისტის მიერ მომზადდა კითხვარის პასუხები, რომელიც მოიცავდა ბიუჯეტის სოციალურ, კულტურულ, გენდერულ და სხვა მიმართულებებს.

მივიღეთ მონაწილეობა, ჩალინში, ღია მმართველობის პარტნიორობის მე-8 გლობალური სამიტში. სამიტზე OGP-ის ადგილობრივი ასამბლეის ფარგლებში, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ ისაუბრა OGP-ის მნიშვნელობასა და ამ პლატფორმის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ ძალისხმევასა და დაგეგმილ აქტივობებზე. ამასთან, დავით დარჩიამ მრგვალი მაგიდის ფორმატში - „ადგილობრივი ლიდერები კორუფციის წინააღმდეგ: ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები“, ისაუბრა USAID-ის მხარდაჭერით კორუფციული რისკების სისტემის დანერგვის პროცესში მიღებულ გამოცდილებაზე. სამიტზე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ხელმძღვანელებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ გაეზიარებინათ ღიაობის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდისთვისა და კორუფციასთან ეფექტიანი ბრძლოლისთვის საჭირო ინოვაციური მიდგომები.

მივიღეთ მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა (USAID) „საკრებულოების საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერების“ ფარგლებში გამართულ ტრენინგებში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა (USAID) „ადამიანური რესურსების მართვის შესაძლებლობების განვითარების“ ფარგლებში, მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყო გრძელვადიანი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ეხება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ოპტიმიზაციას. პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სახელმძღვანელო. ასევე, განხორციელდა თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა, რომელშიც ჩართული ვიყავით ყველა მოხელე. ჩვენი ჩართულობით შემუშავდა სამუშაო აღწერილობების ახალი პროექტი.

ასევე, საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების გაუმჯობესების მიზნით, საჯარო მოხელეები ჩართულნი ვართ ტრენინგებში, სადაც ექსპერტის მიერ ხდება ფსიქომეტრიული ტექნოლოგიების გამოყენება.

საანგარიშო პერიოდში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, უფროსი სპეციალისტი პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკთხებში დაესწრო ევროპის საბჭოს ხილვადობის დღეების ფარგლებში, პროექტის “მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ სემინარს, რომელიც მიეძღვნა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ინკლუზიური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას, რათა მათ უკეთ მიაწვდინონ ხმა ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს და დაგეგმონ ეფექტიანი ცხობიერების ამაღლების აქტივობები.

ოზურგეთის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის შესაძლებლობების გასაძლიერებლად , USAID -ის მიერ დაწყო სტრატეგიული კომუნიკაციების ახალი პროგრამა, რომელიც ორწლიანი საკომუნიკაციო სტრატეგიის და მისი განსახორციელებელი სამუშაო გეგმის შემუშავებას ისახავს მიზნად . ამ პროცესში მონაწილეობა მივიღეთ პირველ სამუშაო შეხვედრაში, განყოფილების თანამშრომლები, საკრებულოს წევრებთან ერთად სტრატეგიული კომუნიკაციის უნარებში გადამზადდება.

Ø სხვადასხვა:

მოგეხსენებათ, 2023 წლის 8 სექტემბერის სტიქიის შედეგად გურიასა და ოზურგეთს დიდი ზიანი მიადგა, სამწუხაროდ იყო მსხვერპლი, უხვი ნალექის მოსვლის შედეგად განვითარებულმა მეწყრულმა პროცესებმა და მოვარდნილმა ღვარცოფმა მუნიციპალიტეტში დააზიანა საცხოვრებელი სახლები, საავტომობილო გზები, ხიდები, სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, ჩამოიშალა დიდი რაოდენობის მიწის მასები. სტიქიის პირველივე წუთებიდან ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მყისიერი რეაგირებისა და ყველა სახელმწიფო სტრუქტურის ოპერატიულად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შესაძლებლობის მაქსიმუმი გაკეთდა დაზარალებულთა დასახმარებლად. შეიქმნა სპეციალური შტაბი. აპარატის საჯარო მოხელეები პირველივე წუთიდან ჩაერთნენ პროცესში. ისინი იმყოფებოდნენ სტიქიის ეპიცენტრში, აშუქებდნენ და საზოგადოებას ოპერატიულად აწვდიდნენ ინფორმაციას განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ პროცესში აქტიური კომუნიკაცია გვქონდა ადგილობრივ და ცენტრალურ მედია საშუალებებთან, კოორდინაციას გაეწია ინტერვიუებისა და საჯარო გამოსვლების ორგანიზებას, სტიქიის ამსახველი სიუჟეტების მომზადებას. გარდა ამისა, თითოეული თანამშრომელი მონაწილეობას ვღებულობდით, ჰუმანიტარული ტვირთვის დახარისხებაში, აგრეთვე, საკრებულოს წევრებთან ერთად დავდიოდით სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებთან, რომლებსაც ჰუმანიტარულ დახმარებას ვაწვდიდით.

Ø გამოწვევები და სამომავლო გეგმები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის წინაშე არსებულ გამოწვევები უკავშირდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებას. მოქალაქეთა ინფორმირებულობის და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, საკრებულოს აპარატი საქმიანობაში იყენებს სხვადსხვა ციფრულ მექანიზმებს. მათი ეფექტურად გამოყენების მიზნით, გამოწვევად რჩება საკრებულოს სარგებლობაში არსებული ტექნიკური საშუალებების გადახალისება, რაც მიმდინარე წელს დაიწყო და დაგეგმილია მომდევნო წელსაც. ასევე, გამოწვევად რჩება საკრებულოს დარბაზის ტექნიკური აღჭურვა.

ერთ-ერთი მნიშნელოვანი გამოწვევა, რომელიც პროფესიული საჯარო მოხელეების წინაშე იდგა გახლდათ ფუნქცია-მოვალეობების სისტემატიზაცია, იმ პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს აპარატის საქმიანობის ეფექტურობას. ამ მხრივ მიმდინარე წელს არაერთი მნიშნელოვანი აქტივობა განხორციელდა და სამომავლოდ მათი აღსრულების ნაწილი დაიგეგმა. კერძოდ, იგეგმება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის, სახელმძღვანელოს დამტკიცება, რომელიც ეხება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ოპტიმიზაციას. ასევე, მოხდება აღნიშნული ტერნინგების ფარგლებში შემუშავებული სამუშაო აღწერილობების დამტკიცება, რაც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს აპარატის თითოეული მოხელის საქმიანობის ეფექტურობას, სისტემურს და უფრო შემოქმედებითს გახდის მოხელეთა შეფასების პროცესს. მომავალ წელს, იგეგმება აპარატის მოხელეების ტრეხინგები ფსიქომეტრული ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც სამომავლოდ გაზრდის გუნდური მუშაობის პროდუქტიულობას.

სტრატეგიული კომუნიკაციების დოკუმენტი ის ერთ-ერთი მნიშნელოვანი სახელმძღვანელოა, რომელიც სამუშაო პროცესში აქტიურად გამოიყენება. ამ გამოწვევასაც საკრებულო საქმიანად პასუხობს, როგორც უვე წემოთ აღინიშნა შევუერთდით სტრატეგიული კომუნიკაციების ახალ პროგრამას, რომელშიც საკრებულოს წევრებთან ერთად აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგნელები ჩაერთვებიან. 2024 წელს დაიწყება სტრატეგიის შემუშავება და ამ სტრატეგიით გათვალისწინებული, განსახორციელებელი საშუაოების დაგეგმვა, აპარატის თანამშრომლების კომუნიკაციის უნარების განვითარება.

- საანგარიშო პერიოდში აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები, ასევე, ასრულებდნენ საკრებულოს წევრების ცალკეულ დავალებებს.

პატივისცემით,

ნანა თავდუმაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს აპარატი-საკრებულოს აპარატის უფროსი